



სტრასბურგი, 2024 წლის 24 ივნისი

CDL-AD(2024)010

ორიგინალი შედგენილია ინგლისურად

ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით
(ვენეციის კომისია)

საქართველო

დამატებითი დასკვნა

საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ერთობლივ დასკვნასთან დაკავშირებით

დამტკიცებულია დემოკრატიული არჩევნების საბჭოს მიერ, საბჭოს მე-80 შეხვედრაზე (ვენეცია, 2024 წლის 20 ივნისი) და მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, კომისიის 139-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2024 წლის 21-22 ივნისი)

ეფუძნება

ბატონი ნიკოს ალივიზატოსის (წევრი, საბერძნეთი)

ბატონი მაიკლ ფრენდოს (წევრი, მალტა)

ქალბატონი კატარინა პაბელის (ადგილმონაცვლე წევრი, ავსტრია)

მოსაზრებებს

I. შესავალი

1. 2024 წლის 7 მარტის წერილით, ქალბატონმა ზანდა კალნინა-ლუკასევიცამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის პრეზიდენტმა, ითხოვა ვენეციის კომისიის დასკვნა პარლამენტის მიერ 2024 წლის 20 თებერვალს მიღებული საქართველოს საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების შესახებ (შემდგომში, „ცვლილებები“, [CDL-REF\(2024\)008](#)). წინამდებარე დასკვნა მომზადებულია „საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ერთობლივ დასკვნაზე“ ([CDL-AD\(2023\)047](#)) დამატებით.

2. წინამდებარე დასკვნის მოსამზადებლად მომხსენებლები იყვნენ ბატონი ნიკოს ალივიზატოსი, ბატონი მაიკლ ფრენდო და ქალბატონი კატარინა პაბელი.

3. ვინაიდან თავდაპირველი დასკვნის მოსამზადებლად საქართველოში განხორციელდა ვიზიტი და გაიმართა ფართო კონსულტაციები 2023 წლის 15 და 16 ნოემბერს, დამატებითი დასკვნის მოსამზადებლად ვიზიტი ან ონლაინ კონსულტაციები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან აღარ განხორციელებულა.

4. წინამდებარე დასკვნა მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების ინგლისურ თარგმანზე დაყრდნობით. თარგმანი, შესაძლოა, ორიგინალ ვერსიას ზუსტად არ ასახავდეს ყველა საკითხთან დაკავშირებით.

5. დამატებითი დასკვნა მომზადდა მომხსენებელთა მოსაზრებების საფუძველზე. საქართველოს ხელისუფლებამ დასკვნის პროექტის შესახებ საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინა 2024 წლის 30 მაისს. დასკვნა დამტკიცებულია დემოკრატიული არჩევნების საბჭოს მიერ, საბჭოს მე-80 შეხვედრაზე (ვენეცია, 2024 წლის 20 ივნისი) და მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ, კომისიის 139-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2024 წლის 21-22 ივნისი).

II. კონტექსტი

6. 2023 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტებას და ცესკოს თავმჯდომარისა და არა-პარტიული წევრების არჩევას ეხებოდა. ამის შემდეგ, კანონპროექტის განხილვა შეჩერდა და საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები გაეგზავნა ვენეციის კომისიას, ხოლო კომისიის 137-ე პლენარულ სესიაზე (2023 წლის 15-16 დეკემბერი) ვენეციის კომისიამ მიიღო საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ერთობლივი დასკვნა ([CDL-AD\(2023\)047](#)), რომლის მიხედვითაც:

“53. ვენეციის კომისია და ODIHR-ი ითვალისწინებენ არსებულ საარჩევნო კანონმდებლობაში სულ მცირე, გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის მიზანს, მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც 2024 წლის ოქტომბერში გაიმართება, თუმცა, ისინი სინანულით აღნიშნავენ, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია კვლავ არ არის შესრულებული. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის

გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ხაზს უსვამს საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობას და ხშირი ცვლილებების გავლენას საზოგადოების ნდობაზე. ხშირმა ცვლილებებმა, შესაძლოა, აგრეთვე შექმნას ამომრჩევლების, პარტიებისა და კანდიდატების დაბნევის საფრთხე და შესაბამისი საარჩევნო ორგანოებისთვის რთული გახადოს კანონის გამოყენება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შეცდომები საარჩევნო პროცესში და შესაბამისად, უნდობლობა საარჩევნო ორგანოების მიმართ. უფრო კომპლექსური რეფორმა ხელს შეუწყობს ამგვარი რისკების პრევენციას და უზრუნველყოფს უფრო სტრუქტურირებული და მკაფიო პროცესის შექმნის შესაძლებლობას.

54. საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები ეხება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დაკომპლექტებას და მისი (არაპარტიული) წევრებისა და თავმჯდომარის არჩევის წესს. შემოთავაზებული ცვლილებები რთული და საკმაოდ დამაბნეველია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ისინი შეიცავენ არაზუსტ და მრავლობით ჯვარედინ მითითებებს სამართლის ორივე წყაროზე.

55. მიმდინარე რეფორმის დროულობაც ნამდვილად არ არის იდეალური, რადგან იგი ეხება საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტურ ელემენტებს - კერძოდ, საარჩევნო კომისიების წევრობას - ხოლო მისი მიღება არჩევნებამდე ერთი წლით ადრეა დაგეგმილი. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის განხილვის პროცესი შეჩერდა პარლამენტში პირველი მოსმენის შემდეგ, ერთობლივ დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით, ხოლო რეფორმა, ნაწილობრივ მაინც, მიზნად ისახავს ევროპული საარჩევნო მემკვიდრეობის სტანდარტებთან შესაბამისობას და ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის წინა რეკომენდაციების განხორციელებას, ცესკოს თავმჯდომარის და (არა-პარტიული) წევრების არჩევის/დანიშვნისთვის კვალიფიციური (3/5) უმრავლესობის მოთხოვნის ხელახლა შემოღების გზით, რაც ხელს შეუწყობს ცესკოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. აღნიშნული განვითარება, არსებითად, მისასალმებელია; ამავდროულად, შემოთავაზებული ცვლილებები არასაკმარისია კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესის უზრუნველყოფისთვის, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის და მის მიმართ საზოგადოების ნდობისთვის.

56. 2021 წლის 19 აპრილს უმრავლესობასა და რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შორის მიღწეული პოლიტიკური შეთანხმების შემდგომ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2021 წელს - მათ შორის, ცესკოს დაკომპლექტების წესის თაობაზე - რომლებსაც ვენეციის კომისია და ODIHR-ი არსებითად მიესალმნენ. ამავდროულად, მიღებულ იქნა დამატებითი ცვლილებები, რომლებიც ფართო პოლიტიკური შეთანხმების ფარგლებს გაცდა. ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის თანახმად, არსებული ცვლილებათა პროექტი სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, საჭიროებს დამატებით მუშაობას.

57. ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის რეკომენდაციით, მიზანშეწონილია:

A. ცვლილებების პროექტში შესწორებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონსენსუსი ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნა/არჩევაზე; ეს შეიძლება გულისხმობდეს თავდაპირველად

- საპარლამენტო უმრავლესობის ხმების 2/3-ის მოთხოვნას და ნებისმიერ შემთხვევაში, ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმს, რომელიც კვალიფიციურ უმრავლესობას ანიჭებს უპირატესობას და მხოლოდ ამის შემდეგ ითვალისწინებს მარტივი (ან აბსოლუტური) უმრავლესობის, როგორც ჩიხიდან გამოსვლის საბოლოო საშუალების გამოყენებას [პუნქტი 29]
- B. ანტიჩიხური მექანიზმის მოქმედების სხვადასხვა ეტაპებს შორის შემოთავაზებული შეზღუდული დროის გახანგრძლივება; [პუნქტი 30]
- C. ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის ნომინირების უფლებამოსილების პარლამენტის თავმჯდომარისგან კვლავ საქართველოს პრეზიდენტისთვის გადაცემა; [პუნქტი 32]
- D. მოთხოვნა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და პრეზიდენტის მიერ მიღებული ნებისმიერ გადაწყვეტილება ცესკოს წევრობის ან თავმჯდომარეობის კანდიდატის წარდგენის, უარყოფისა და დანიშვნის შესახებ იყოს დასაბუთებული; [პუნქტები 33-34]
- E. პროექტიდან იმ დებულების ამოღება, რომლის მიხედვითაც ოპოზიციური პარტიიდან არჩეული ცესკოს წევრებიდან თავმჯდომარის მოადგილე არ შეირჩევა; [პუნქტი 36]
- F. ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით, ცვლილებების პროექტში შესწორების შეტანა, რათა ანტიჩიხური მექანიზმის საფუძველზე განხორციელებული დანიშვნები დროში იყოს მნიშვნელოვნად შეზღუდული და შეუძლებელი იყოს მათი გახანგრძლივება. [პუნქტი 38]

58. ვენეციის კომისია და ODIHR-ი თვლიან, რომ კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნის ხელახლა შემოღება ცესკოს თავმჯდომარისა და (არაპარტიული) წევრების არჩევა/დანიშვნასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხია, ხოლო ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებთან შესაბამისობა, ფართო მხარდაჭერასთან ერთად (მათ შორის, ოპოზიციის მხრიდან), გამონაკლისის სახით, გაამართლებს საკანონმდებლო ცვლილებების მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე მიღებას, რაც საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის პრინციპიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი.

59. ვენეციის კომისია და ODIHR-ი, ამასთან, იმეორებენ მათ წინა რეკომენდაციებს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით, კერძოდ:

- G. ცესკოს წევრთა მაღალკვალიფიციურობის უზრუნველყოფა; [პუნქტი 40]
- H. შესარჩევი კომისიის გამჭვირვალე ფორმირების და მისი წევრების მრავალფეროვნების, მიუკერძოებლობის და მაღალი რეპუტაციის უზრუნველყოფა და ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის ნომინირების დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესის უზრუნველყოფა; [პუნქტი 41]
- I. მკაფიოდ და ვიწროდ განსაზღვრა, თუ რის საფუძველზეა შესაძლებელი პარტიის მიერ ნომინირებული წევრების დათხოვნა; [პუნქტი 42]
- J. ქვემდგომი (საუბნო და საოლქო) საარჩევნო ორგანოების წევრთა შერჩევის პროცესის, კრიტერიუმებისა და რეკრუტირების განმტკიცება, რათა უზრუნველყოფილი იყოს, მათ შორის, გამჭვირვალე, რეალურად დამსახურებაზე დაფუძნებული პროცესები არაპარტიული წევრების დანიშვნისთვის. [პუნქტი 43]

60. აღნიშნულ რეკომენდაციებს შეიცავს წინამდებარე ერთობლივი დასკვნის ტექსტი. ამას გარდა, ვენეციის კომისია და ODIHR-ი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ, რომ რამდენიმე სხვა წინა რეკომენდაცია არ არის შესრულებული და კვლავ ძალაში რჩება.

61. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მუშაობს, რათა შემდგომ ეტაპებზე გადავიდეს ევროკავშირში გასაწევრიანებლად წარდგენილი განაცხადი, ODIHR-ი და ვენეციის კომისია ხელისუფლებას მოუწოდებენ, აღნიშნული გამოიყენოს როგორც სტიმული დემოკრატიის პროცესის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. ყველა სახელმწიფო დემოკრატიას უნდა აღიქვამდეს, როგორც დინამიკურ პროცესს, რომელიც საჭიროებს უწყვეტ დიალოგს, ინკლუზიური საპარლამენტო პროცესის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის სულისკვეთებას, საერთო სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარე.“

7. ერთობლივი დასკვნის მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი 2024 წლის 9 თებერვალს გამართულ პლენარულ სესიაზე მიიღო მეორე მოსმენით, ყოველგვარი ცვლილების გარეშე და დაჩქარებული წესით მიიღო მესამე და საბოლოო მოსმენით, 2024 წლის 20 თებერვალს. 2024 წლის 5 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ცვლილებებს ვეტო დაადო. 2024 წლის 19 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და 25 მარტს კანონპროექტს ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ, რის შემდეგაც ცვლილებები ძალაში შევიდა.

III. ანალიზი

A. პროცედურული ასპექტები

8. ვენეციის კომისია მუდმივად გამოხატავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული წარმატებული ცვლილებები უნდა დაეფუძნოს, როგორც მინიმუმ, ქვემოთ წარმოდგენილ სამ ძირითად ელემენტს:

- 1) მკაფიო და ამომწურავი კანონმდებლობა, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებს და ითვალისწინებს წინა რეკომენდაციებს;
- 2) კანონმდებლობის მიღება ფართო კონსენსუსის საფუძველზე, ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან გამართული ფართო საჯარო კონსულტაციების შემდგომ; და
- 3) პოლიტიკური ნება კანონმდებლობის სრულად და კეთილსინდისიერად განხორციელებასთან დაკავშირებით, სათანადო პროცედურული და სასამართლო გარანტიებისა და იმ საშუალებების პირობებში, რომლითაც დროულად შეფასდება კანონმდებლობის სრულად და კეთილსინდისიერად განხორციელების მოვალეობის შეუსრულებლობა.

9. ამ მხრივ, ვენეციის კომისიამ განაცხადა, რომ: „თუ საარჩევნო წესების ცვლილების პროცესი არ არის საკმარისად ინკლუზიური და გამჭვირვალე, ე.ი., თუ ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე არ არის სათანადოდ ჩართული, ახალი საარჩევნო წესები ქმნის

საფრთხეს იმისა, რომ ისინი აღქმული იქნება არა როგორც საარჩევნო სისტემის გამაუმჯობესებელი, არამედ, მოქმედი თანამდებობის პირების სასარგებლოდ მოქმედი.¹

10. რაც შეეხება საკანონმდებლო პროცესს საქართველოს საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში აწ უკვე მიღებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისიამ და ODIHR-მა უკვე გამოხატეს შეშფოთება თავდაპირველ დასკვნაში, რომ პროცესი არ უზრუნველყოფდა „მაქსიმალურად ფართო კონსენსუსს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ფართო საჯარო კონსულტაციების შემდეგ. მათ სურთ, ხაზი გაუსვან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს მაქსიმალურად ფართო კონსენსუსს არჩევნებში მონაწილე ყველა მხარეს შორის და მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გაწეული პროცესის მიმართ საერთო ნდობის მისაღწევად; ამავდროულად, პროცესის ფლობა შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის დიალოგით, რომლის მამოძრავებელი ძალაც არის ქართული დემოკრატიის დაცვისა და გაუმჯობესების გულწრფელი სურვილი.“²

11. ეს განცხადებები კვლავ ძალაში რჩება, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტი მიღებულია ყოველგვარი ცვლილების გარეშე, ე.ი., საქართველოს პრეზიდენტის, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის მიერ გამოხატული წუხილების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი პარლამენტში 81 ხმით იყო მიღებული (2024 წლის 20 თებერვალს, მე-3 მოსმენაზე), ხოლო პრეზიდენტის ვეტო დაძლეული იქნა 78 ხმით (2024 წლის 5 მარტს), მაშინ, როდესაც პარლამენტი 150 წევრისგან შედგება.³ ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვენეციის კომისია ვერ დაასკვნის, რომ ცვლილებები ფართო კონსენსუსით იყო მიღებული, ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ფართო საჯარო კონსულტაციების გამართვის შემდეგ და წინა რეკომენდაციების გათვალისწინებით.

B. მატერიალური ასპექტები

1. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესთან დაკავშირებული ცვლილებები

12. თავდაპირველ დასკვნაში განხილული საკანონმდებლო ცვლილებები მიღებული იქნა ყოველგვარი დამატებითი ცვლილების გარეშე. შესაბამისად, წინა მოსაზრებები კვლავ ძალაში რჩება და ვენეციის კომისია იმეორებს წინა კომენტარებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც თავდაპირველი დასკვნა შეიცავს ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით.⁴ კომისია კიდევ ერთხელ მიუთითებს საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსზე, რომლის მიხედვითაც „თუ არ არსებობს ხანგრძლივი ტრადიცია ადმინისტრაციული ორგანოების დამოუკიდებლობის, იმ ორგანოებისგან რომლებსაც გააჩნიათ პოლიტიკური ძალა, ყველა დონეზე უნდა მოეწყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები, როგორც ეროვნულ, ისე საარჩევნო უბნის დონეზე“,

¹ ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა თურქეთის საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ, 2022 წლის 31 მარტის No. 7393 კანონის საფუძველზე, [CDL-AD\(2022\)016](#), პ. 21.

² ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ. 15.

³ კონსტიტუცია, მუხლი 37(2).

⁴ იხ. ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პუნქტები 16ff., და რეკომენდაციების ჩამონათვალი პუნქტებში 57 და 59 (ციტირებული ზემოთ, პ. 6).

რათა უზრუნველყოფილი იქნეს არჩევნების სათანადოდ ჩატარება ან, როგორც მინიმუმ, აღმოიფხვრას სერიოზული ეჭვები დარღვევებთან დაკავშირებით.⁵

13. შესაბამისად, თავდაპირველ დასკვნაში წარმოდგენილი ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია⁶ მიზნად ისახავდა ცესკოს არაპარტიული წევრებისა და თავმჯდომარის დანიშვნასთან/არჩევასთან დაკავშირებით კონსენსუსის მიღწევის უზრუნველყოფას. დასკვნის თანახმად, აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი გზა შესაძლოა გულისხმობდეს პირველ რიგში 2/3 საპარლამენტო უმრავლესობის მოთხოვნას და ნებისმიერ შემთხვევაში, ანტიჩიხურ მექანიზმს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს კვალიფიციურ უმრავლესობას, მანამ, სანამ შესაძლებელი იქნება მარტივი (ან აბსოლუტური) უმრავლესობის გამოყენება, როგორც საბოლოო გამოსავალი ჩიხიდან. ცვლილებებში ხელახლა არის გათვალისწინებული კვალიფიციური უმრავლესობის (3/5) მოთხოვნა⁷, თუმცა, მას თან ახლავს ანტიჩიხური მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს კენჭისყრის ორი დამატებითი რაუნდის შესაძლებლობას, რომლის ფარგლებშიც კანდიდატების არჩევა შესაძლებელია მარტივი უმრავლესობით. დასკვნაში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ცალსახად „არასაკმარისია, კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესის უზრუნველსაყოფად, რომელიც ცესკოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობისთვის და ამ ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ნდობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.“⁸

14. თავდაპირველი დასკვნის მიღების დროს და შემდგომ პერიოდში, ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2021 წლის ივნისში მიღებული რეგულაციები - ე.ი., 2/3 უმრავლესობის მოთხოვნა და ჩიხის საწინააღმდეგო მრავალეტაპიანი მექანიზმი⁹ - წარუმატებელი აღმოჩნდა და 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმება, რომელსაც ეფუძნებოდა ეს რეგულაციები, აღარ იყო რელევანტური. ამ მხრივ, ვენეციის კომისია ხაზს უსვამს, რომ მას არ გაუცია რეკომენდაცია პრობლემის გადაჭრის ერთ კონკრეტულ საშუალებასთან დაკავშირებით (როგორცაა 2021 წლის ივნისის რეგულაციები), არამედ, ცალსახად საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული პრობლემის გადაჭრის შესაფერისი გზის მოძიება. მთავარია, რომ შესრულდეს დაინტერესებულ პოლიტიკურ მხარეებს შორის ცესკოს დაკომპლექტებისა და ხელმძღვანელობის შესახებ კონსენსუსის მიღწევის მიზანი. კომისია კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს თავის შემოფოტებას იმასთან დაკავშირებით, რომ არსებული ცვლილებები არასაკმარისია ამის უზრუნველსაყოფად. *Inter alia*, ვაკანტური პოზიციების შევსებასთან დაკავშირებით, ახალი ანტიჩიხური მექანიზმი ქმნის რისკს,¹⁰ რომ მხოლოდ მმართველი პარტიის ხმებითაც შესაძლებელი იქნება ცესკოს (არაპარტიული) წევრების და თავმჯდომარის არჩევა.

15. ვენეციის კომისიას სურს, მკაფიოდ აღნიშნოს, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის

⁵ იხ. ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსი, [CDL-AD\(2002\)023rev2-cor](#), სახელმძღვანელო პრინციპი II 3.1.b.

⁶ ციტირებული ზემოთ, პ. 6.

⁷ 2023 წლის ივნისში, კანდიდატის არჩევნისთვის საჭირო ხმების რაოდენობა პარლამენტში (რომელიც 2021 წელს იქნა მიღებული) მარტივ უმრავლესობამდე იქნა შემცირებული, ხოლო მარტივი უმრავლესობით არჩეული კანდიდატების ექვსთვიანი ვადა გაუქმდა. შედეგად, ყველა წევრი/თავმჯდომარე ხუთი წლის ვადით აირჩევა.

⁸ ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ. 55.

⁹ ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმი, რომელსაც საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლი შეიცავდა, ითვალისწინებდა შემდეგს: თუ კენჭისყრის პირველ ეტაპზე ვერ მოხდებოდა ხმათა ორი მესამედის მობილიზება, შესაძლებელი იყო მეორე (კვლავ 2/3), მესამე (3/5) და მეოთხე (მარტივი უმრავლესობა) რაუნდების ჩატარება. თუ ამ პროცესის დასრულების შემდეგ ვაკანტური თანამდებობა მაინც ცარიელი იყო, წომინირების პროცესი იწყებოდა თავიდან. 2/3-ზე ნაკლები ხმებით არჩეული ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადა ექვსი თვით განისაზღვრა.

¹⁰ პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 211.1(7).

უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სავალდებულო ძალის მქონე მოვალეობას წარმოადგენს. ამავდროულად, მისი რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იქნეს აღნიშნული მიღწეული, მიმართულებას იძლევა, ხოლო ალტერნატიული, თუმცა, ადეკვატური გზების მოძიება დამოკიდებულია ხელისუფლებაზე, აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს სუვერენიტეტისადმი სრული პატივისცემის საფუძველზე.¹¹

2. სხვა მიმდინარე საკითხები

16. თავდაპირველ დასკვნაში ხაზგასმულია, რომ საქართველო საარჩევნო კანონმდებლობაში დამატებითი ცვლილებები იქნება აუცილებელი, „რადგან ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია არ არის შესრულებული. საკანონმდებლო საკითხები, რომლებიც ბოლოდროინდელ რეფორმებში არ ყოფილა გათვალისწინებული, ძირითადად ეხება, მათ შორის, საარჩევნო ოლქების დელიმიტაციას, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით შემზღუდავი მოთხოვნების დაწესებას და სხვა არასათანადო კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს ამომრჩევლისა და კანდიდატის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, დამატებით ასპექტებს საარჩევნო კომისიების ფორმირებასთან დაკავშირებით, საარჩევნო მიზნებისთვის ოფიციალური თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ დებულებებს, შემოწირულებებთან დაკავშირებით დადგენილ მაღალ ზღვრულ ოდენობებს, რაც გავლენას ახდენს სამოქმედო ველის თანასწორობაზე, კამპანიის დაფინანსების დამატებით რეგულირებასა და ზედამხედველობას, მედიის საშუალებით კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით დამატებითი რეგულაციების განსაზღვრას, საარჩევნო დავების განხილვისთვის გამოსაყენებელი ჩარჩოს განმტკიცებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გასაჩივრების, ხელახლა დათვლისა და გაბათილების ეფექტური შესაძლებლობა, და ამომრჩევლებზე ზეწოლის პრევენციის ზომებს.“¹²

17. ასეთი ფართო რეფორმების ინიცირება არ მომხდარა, რაც გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები რჩება. თუმცა, შემაშფოთებელია, რომ არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია კვლავ არ არის შესრულებული, ხოლო არჩევნები კვლავ გაიმართება იმ სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე, რომელზეც გავლენას ახდენს არაერთი ხარვეზი.

C. საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობა

18. როგორც ვენეციის კომისიამ აღნიშნა თავდაპირველ და რამდენიმე წინა დასკვნაში, „საარჩევნო კანონმდებლობას უნდა გააჩნდეს გარკვეული სტაბილურობა, რაც სამართლებრივი განჭვრეტადობის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია; ერთი მხრივ, ასეთი სტაბილურობა ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საარჩევნო წესების გააზრებას: კანდიდატები, ამომრჩევლები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დამკვირვებლები, საზოგადოება; მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს პარტიის მიერ პოლიტიკური

¹¹ გარკვეული განცხადებები გაკეთდა სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით: მაგ., იხილეთ: [მამუკა მდინარაძე - არცერთი კომისიის არცერთ დასკვნას არ გავითვალისწინებთ, რაც საქართველოს, დემოკრატიული არჩევნებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ იქნება მიმართული - ხალხმა იმისთვის არ იბრძოლა, რომ ვიღაცამ თითი დავვიტაკეუნოს და გავაკეთოთ.](#)

¹² ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ. 52.

მანიპულაციისგან დაცვის გარანტიას.”¹³ საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსში მკაფიოდ არის მითითებული, რომ „კანონის სტაბილურობა უაღრესად მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესის სანდოობისთვის, რაც თავის მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიის კონსოლიდირებისთვის. წესები, რომლებიც ხშირად იცვლება - განსაკუთრებით, წესები, რომლებიც კომპლექსურია - შესაძლოა, ამომრჩევლებისთვის დამაბნეველი იყოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამომრჩევლებმა შესაძლოა სწორად ან არასწორად დაასკვნან, რომ საარჩევნო კანონმდებლობა უბრალოდ ინსტრუმენტია ძლიერის ხელში, ხოლო მათი ხმები უმნიშვნელოა არჩევნების შედეგების გადაწყვეტაში.“¹⁴

19. საქართველოში საარჩევნო კანონმდებლობის ხშირად შეცვლის პრაქტიკა ქმნის საარჩევნო პროცესის სანდოობისა და დემოკრატიის კონსოლიდირების კუთხით სახელმწიფოს მიმდინარე ძალისხმევის დაზიანების რისკებს. იგი, აგრეთვე, ქმნის ამომრჩევლების, მხარეებისა და კანდიდატების დაზიანების რისკებს და შესაბამისი კომპეტენციის საარჩევნო ორგანოებისთვის კანონის გამოყენებას ართულებს, რაც თავის მხრივ იწვევს შეცდომებს საარჩევნო პროცესში და შედეგად, უნდობლობას საარჩევნო ორგანოების მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ კვლავ შეუსრულებელია ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის რამდენიმე სპეციფიკური რეკომენდაცია, კომისია კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქართული საარჩევნო კანონმდებლობის უფრო კომპლექსური და სისტემური რეფორმის განხორციელებისკენ, არჩევნებამდე საკმაოდ დროით ადრე, ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის ფარგლებში. ასეთი რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დარჩენილ წუხილებსა და შეუსრულებელ რეკომენდაციებზე, რათა მოხდეს ხშირი ცვლილებების თავიდან აცილება და სტაბილურობის მიღწევა.

20. ამას გარდა, რაც შეეხება საარჩევნო რეფორმების დროულობას, საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის¹⁵ თანახმად, საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტები, კერძოდ, სათანადო საარჩევნო სისტემა, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა, არ უნდა დაექვემდებაროს ცვლილებებს არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები ხნით ადრე, ან გათვალისწინებული უნდა იყოს კონსტიტუციით ან ჩვეულებრივ კანონზე მაღალ დონეზე. ამ რეკომენდაციაზე მითითებით, კოდექსის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ცვლილებების მიღებისას „ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თავიდან იქნეს აცილებული არა მხოლოდ მმართველი პარტიის სასარგებლოდ მანიპულაცია, არამედ, მანიპულაციის მცირე მინიშნებაც კი [...] მაშინაც კი, თუ განზრახვას არ წარმოადგენს მანიპულაცია, შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ ცვლილებები პირდაპირი პოლიტიკური ინტერესებით არის ნაკარნახევი.“¹⁶

21. ერთწლიან პრინციპთან დაკავშირებით გამონაკლისები დაშვებულია, თუ არსებობს ფართო კონსენსუსი რეფორმის გარშემო. ამას გარდა, პრინციპი „არ სარგებლობს უპირატესობით კოდექსით გათვალისწინებულ სხვა პრინციპებთან შედარებით“ და იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი სიტუაციის შესანარჩუნებლად, რომელიც ევროპის

¹³ ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ. 45. ასევე, იხ., *inter alia*, ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2022\)047](#), ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსის და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ.28; ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2021\)026](#), გადაუდებელი დასკვნა საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტის შესახებ, პ.პ. 23-24.

¹⁴ იხ. ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსი, [CDL-AD\(2002\)023rev2-cor](#), განმარტებითი ბარათის პ. 63; ასევე, იხ. პუნქტები 58 და 64-67.

¹⁵ ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსი, [CDL-AD\(2002\)023rev2-cor](#), სახელმძღვანელო პრინციპი II.2.b. ასევე, იხ. საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის შესახებ განმარტებითი დეკლარაცია, [CDL-AD\(2005\)043](#) და (*mutatis mutandis*) ECtHR, 2008 წლის 8 ივლისი, *Georgian Labour Party v. Georgia*, no. 9103/04, პ. 88.

¹⁶ ვენეციის კომისია, საარჩევნო საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსი, [CDL-AD\(2002\)023rev2-cor](#), პუნქტები 64-65.

საარჩევნო მემკვიდრეობის სტანდარტებს ეწინააღმდეგება ან საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების განხორციელების თავიდან არიდებისთვის”.¹⁷

22. მოცემულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ შესწორებები ეხება საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტურ ელემენტებს - კერძოდ, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას, და ეს ცვლილებები მიღებულია 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები ხნით ადრე. შესაბამისად, თავდაპირველ დასკვნაში აღინიშნა, რომ ცესკოს თავმჯდომარისა და (არაპარტიული) წევრების არჩევასთან/დანაშინასთან დაკავშირებით კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნის ხელახლა შემოღება უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საკითხია. ამრიგად, კომისიამ დაასკვნა, რომ ცვლილებების ერთი წლით ადრე მიღების მიზანშეუწონლობის პრინციპიდან (რასაც ითხოვს საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის პრინციპი) გადახვევა გამართლებული იქნება მხოლოდ დასკვნაში წარმოდგენილი ძირითადი რეკომენდაციების შესრულების პირობით, ფართო მხარდაჭერის არსებობასთან ერთად, მათ შორის, ოპოზიციის მხრიდან.¹⁸ თუმცა, ეს ორი პირობა არ შესრულდა ცვლილებების მიღების პროცესში, რომელიც შემდგომ წარიმართა.

IV. დასკვნა

23. 2023 წლის 5 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტი, რომელიც შეეხებოდა მხოლოდ ცესკოს დაკომპლექტების საკითხს და ცესკოს თავმჯდომარისა და მისი არაპარტიული წევრების არჩევის წესს. ამის შემდეგ, ცვლილებების პროექტის განხილვა შეჩერდა, ცვლილებების პროექტი გაეგზავნა ვენეციის კომისიას, ხოლო 2023 წლის 25-16 დეკემბერს გამართულ 137-ე პლენარულ სესიაზე ვენეციის კომისიამ მიიღო ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ, რომელიც შეიცავდა ექვს ძირითად და სხვა დამატებით რეკომენდაციებს.

24. ერთობლივი დასკვნის მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი 2024 წლის 9 თებერვალს გამართულ პლენარულ სესიაზე მიიღო მეორე მოსმენით, ყოველივე ცვლილების გარეშე და დაჩქარებული წესით მიიღო მესამე და საბოლოო მოსმენით, 2024 წლის 20 თებერვალს. 2024 წლის 5 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ცვლილებებს ვეტო დაადო. 2024 წლის 19 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო და 25 მარტს კანონპროექტს ხელი მოაწერა პარლამენტის თავმჯდომარემ, რის შემდეგაც ცვლილებები ძალაში შევიდა.

25. 2024 წლის 7 მარტის წერილით, ქალბატონმა ზანდა კალნინა-ლუკასევიცამ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის პრეზიდენტმა, ვენეციის კომისიას მიმართა და ითხოვა დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო. წინამდებარე დასკვნა წარმოადგენს 2023 წლის დეკემბრის თავდაპირველ დასკვნაზე დამატებით მომზადებულ დასკვნას.

¹⁷ იხ. საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის შესახებ განმარტებითი დეკლარაცია, [CDL-AD\(2005\)043](#), პუნქტები II.1. და 2.

¹⁸ იხ. ვენეციის კომისია და ODIHR, [CDL-AD\(2023\)047](#), ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის და პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის შესახებ, პ. 58.

26. ვენეციის კომისია უაღრესად შეშფოთებულია, რომ მისი არც ერთი რეკომენდაცია არ ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, ნაწილობრივაც კი. კომისია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ აწ უკვე მიღებული ცვლილებები ცალსახად არასაკმარისია კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური პროცესის უზრუნველსაყოფად, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ცესკოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის და ამ ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ნდობისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წუხილი დაკავშირებულია ახალ ანტიჩიხურ მექანიზმთან, ვაკანტური თანამდებობების შესავსებად, რომელიც ითვალისწინებს კენჭისყრის ორი დამატებითი რაუნდის ჩატარების შესაძლებლობას, რომლის დროსაც კანდიდატების არჩევა შესაძლებელია მარტივი უმრავლესობით,¹⁹ და რომელიც ქმნის რისკს, რომ მხოლოდ მმართველი პარტიის ხმებითაც იქნება შესაძლებელი ცესკოს (არაპარტიული) წევრების და თავმჯდომარის არჩევა.

27. ამას გარდა, შემაშფოთებელია, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ასეთი ფუნდამენტური ელემენტები 2024 წლის ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები ხნით ადრე იქნა მიღებული, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობის პრინციპს. თავდაპირველ დასკვნაში ვენეციის კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ საარჩევნო რეფორმის მორიგ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე განხორციელების მიზანშეუწონლობის წესიდან გადახვევა გამართლებული იქნება მხოლოდ დასკვნაში წარმოდგენილი ძირითადი რეკომენდაციების შესრულების პირობით, ფართო მხარდაჭერის არსებობასთან ერთად, მათ შორის, ოპოზიციის მხრიდან. თუმცა, ეს ორი პირობა არ შესრულდა ცვლილებების მიღების პროცესში, რომელიც შემდგომ წარიმართა. ნიშანდობლივია, რომ ამ პროცესში არ ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის, ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ვენეციის კომისიისა და ODIHR-ის მიერ გამოხატული წუხილები.

28. და ბოლოს, შემაშფოთებელია რომ არაერთი წინა რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია, ხოლო არჩევნები კვლავ იმ სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე გაიმართება, რომელზეც გავლენას ახდენს არაერთი ხარვეზი. ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ საკანონმდებლო პრობლემები, რომლებიც ბოლოდროინდელი რეფორმის ფარგლებში არ გადაიჭრა, ძირითადად ეხება, მათ შორის, საარჩევნო ოლქების დელიმიტაციას, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებით შემზღვევადი მოთხოვნების დაწესებასა და სხვა არასათანადო კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს ამომრჩევლისა და კანდიდატის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას, დამატებით ასპექტებს საარჩევნო კომისიების ფორმირებასთან დაკავშირებით, საარჩევნო მიზნებისთვის ოფიციალური თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ დებულებებს, შემოწირულებებთან დაკავშირებით დადგენილ მაღალ ზღვრულ ოდენობებს, რაც გავლენას ახდენს სამოქმედო ველის თანასწორობაზე, კამპანიის დაფინანსების დამატებით რეგულირებას და ზედამხედველობას, მედიის საშუალებით კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით დამატებითი რეგულაციების განსაზღვრას, საარჩევნო დავების განხილვისთვის გამოსაყენებელი ჩარჩოს განმტკიცებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გასაჩივრების, ხელახლა დათვლისა და გაბათილების ეფექტური შესაძლებლობა, და ამომრჩევლებზე ზეწოლის პრევენციის ზომებს.

29. დასკვნის სახით, ვენეციის კომისია იმეორებს მის რეკომენდაციებს, რომლებიც თავდაპირველ დასკვნაშია წარმოდგენილი, მათ შორის, უფრო კომპლექსური რეფორმისკენ

¹⁹ პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 211.1(7).

მოწოდებას - ნაცვლად ხშირი, ლიმიტირებული ცვლილებებისა - რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო მოვალეობებსა და სტანდარტებს და ითვალისწინებს წინა რეკომენდაციებს, და რომელიც ეფუძნება ფართო კონსენსუსს, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ფართო საჯარო კონსულტაციების შემდგომ. ვენეციის კომისია, აგრეთვე, იმეორებს თავდაპირველ დასკვნაში წარმოდგენილ საბოლოო რეკომენდაციებს: იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მუშაობს, რათა შემდგომ ეტაპებზე გადავიდეს ევროკავშირში გასაწევრიანებლად წარდგენილი განაცხადი, კომისია ხელისუფლებას მოუწოდებს, „აღნიშნული გამოიყენოს როგორც სტიმული დემოკრატიის პროცესის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. ყველა სახელმწიფო დემოკრატიას უნდა აღიქვამდეს, როგორც დინამიკურ პროცესს, რომელიც საჭიროებს უწყვეტ დიალოგს, ინკლუზიური საპარლამენტო პროცესის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის სულისკვეთებას, საერთო სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარე“.

30. ვენეციის კომისია გამოთქვამს მზადყოფნას ამ კუთხით შემდგომი დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებასა და საპარლამენტო ასამბლეას.